სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

04 / ივლისი / 2024 წ.

KA020105544411724

№ **22/4957**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

თქვენი 2024 წლის 23 აპრილის N21/4110 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9,3960 ჰა ფართობზე, 216 108 ტონა თაბაშირის მოპოვების სკრინინგის განაცხადის ზედდებას სხვა სალიცენზიო ობიექტთან გაცნობებთ, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს (№ GOV N 11/4, 08.01.2024წ.) წერილის გათვალისწინებით, უარი ეთქვა განმცხადებელს და შეწყდა წარმოება სალიცენზიო ობიექტზე (ID-57369-123734; 08.11.2023წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გააუქმოთ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 01 დეკემბრის N675/ს ბრძანება და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განიხილოთ სააგენტოს მიმდინარე წლის 12 აპრილს N22/2574 წერილით გადმოგზავნილი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ონის მუნიციპალიტეტში, ცხმორის ადმინისტრაციულ ერთეულში, 216 108 ტონის თაბაშირის მოპოვების სკრინინგის განცხადება (ID 58220/141988) და მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. დანართი:

გეოსაინფორმაციო პაკეტი 3 გვ. ტოპოგრაფიული რუკა 1 გვ, shape ფაილი, წერილი 1 გვ.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნანა ზამთარაძე